ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ა ნ გ ა რ ი შ ი

ცენტრის დებულება დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (სხდომა №16, 10.11.2008წ.)

დირექტორი ზურაბ შენგელია
დანიშნულია რექტორის ბრძანებით №11/01-03. 02.03.2009

დირექტორის მოადგილე ნინო ბერძნიშვილი
დანიშნულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით №57/02-03. 11.03.2009

ამონაწერი ცენტრის დებულებიდან

ცენტრის მიზანი:

1. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა პრობლემების შესწავლა და კვლევა უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათებლო პოტენციალის გამოყენებით;
2. ამ თემატიკის დამუშავების პროცესში სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა მათში მეცნიერული კვლევის საფუძვლების განვითარების მიზნით;
3. ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების გააქტიურება აღნიშნულ საკითხებზე

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრი:

1. დახმარებას უწევს სხვადასხვა ფაკულტეტს სასწავლო პროგრამებისა და სამუშაო გეგმების შემუშავებაში;
2. სხვადასხვა ფაკულტეტის დეკანატთან შეთანხმებით ეხმარება სტუდენტებს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შერჩევასა და შესრულებაში;
3. ორგანიზებას უწევს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას ამ მიმართულებით;
4. აწყობს სამეცნიერო-სასწავლო კონფერენციებს;
5. იწვევს სხვადასხვა სპეციალისტებს (მათ შორის აფხაზეთიდან) სამუშაო პროგრამებიდან გამომდინარე;
6. ქმნის პირობებს უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობაში აფხაზური მხარის მონაწილეობისათვის;
7. ხელს უწყობს უნივერსიტეტში აბიტურიენტთა მოზიდვას აფხაზეთიდან და ქმნის პირობებს მათთვის უნივერსიტეტში სასწავლებლად;
8. კონსულტაციებს უწევს უნივერსიტეტის საზოგადოებას აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ.

სამეცნიერო-სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა

1. დასაბეჭდად მომზადდა ფოტოალბომი „აფხაზეთი – XIX საუკუნე“;
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის“ პროგრამის მაგისტრანტებმა თარგმნეს თანამედროვე აფხაზური პოეზიის ნიმუშები, რომელთა ბწკარედი შესრულდა აფხაზეთში;
3. აფხაზური ფოლკლორისა და აფხაზური ლიტერატურის ისტორიის კურსში, რომელიც იკითხება უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის პროფ. ტ. მახაურის მიერ, შეტანილ იქნა ცენტრის მიერ რეკომენდებული მასალა;
4. თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ პროექტ „გლოტალიზაციის ნიშანი ქართველურ ენებში აკუსტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით“ ცენტრის მონაწილეობით იწერება აფხაზური მეტყველების აუდიო ვერსია;
5. ცენტრის სამეცნიერო კონსულტაციებისა და მის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე საქართველოს პარლამენტის მიერ გამოცემულ იქნა დოკუმენტების კრებული საქართველოში ტერიტორიული კონფლიქტების წარმოქმნის და მათი მოგვარების შესახებ;

სამეცნიერო კონსულტაციები

6. ცენტრი – სამეცნიერო კონსულტანტი მერილენდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასპირანტის კარტერ ჯონსონისა თემაზე: „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სპეციფიკა“;
7. ცენტრი – სამეცნიერო კონსულტანტი ბაქოს უნივერსიტეტის მაგისტრ კავკასიურ მეცნიერებებში რაუფ ჰასანოვის თემაზე: „კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების შედარებითი ანალიზი“;
8. ცენტრი, როგორც კონსულტანტი მონაწილეობდა ა. გეგშიძისა და ე. ჩომახიძის პროექტის „იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანური უსაფრთხოების გაძლიერება საქართველოში“ განხორციელებაში;
9. ცენტრი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ორგანიზებული აფხაზეთის კულტურის დღეების სამეცნიერო კონსულტანტი, ცენტრის კონსულტაციების საფუძველზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ შერჩეული იქნა ვიზუალური მასალა
10. ცენტრი არის საქართველოს გამოცდების ეროვნული ცენტრის კონსულტანტი აფხაზეთში არსებული განათლების სისტემის საკითხებში;
11. ცენტრი იყო სამეცნიერო კონსულტანტი რეჟისორ ნიკო წულაძეს დოკუმენტური ფილმისა „აფხაზები თურქეთში“, რომლის პრეზენტაციაც უნივერსიტეტში გაიმართა;
12. ცენტრი სამეცნიერო კონსულტაციას უწევს ***საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტს (I)*** აფხაზური მედია სივრცის კვლევაში

უნივერსიტეტის საზოგადოების ინფორმირება აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ

15. უნივერსიტეტის გაზეთის საშუალებით ცენტრი საზოგადოებას პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას აფხაზურ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ აფხაზური პრესის დაიჯესტის ფორმით;
16. დაიწყო შეხვედრების ციკლი „საუბრები აფხაზეთზე“;
17. შედგა ორი მივლინება აფხაზეთში, რომელთა შედეგადაც ჩატარდა გამოფენა „სოხუმი. აგვისტო 2009წ.“ გალერეა „ჰობიში“;

პოლიტიკური კონსულტაციები

18. ცენტრი მონაწილეობას იღებს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემმუშავებელ საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში

აფხაზეთიდან სტუდენტი ახალგაზრდობის მოზიდვა

19. ცენტრის ხელშეწყობით აფხაზეთის (სოხუმში) სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის კურსდამთავრებული ესმა ელერჯია აბარებს მისაღებ გამოცდებს უნივერსიტეტის მაგისტრატურაში

საქართველოს მთავრობის შეკვეთები

20. რეინტეგრაციის სამინისტრო. „საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით“. თარგმანი აფხაზურ ენაზე;
21. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ქართულ-აფხაზური ლექსიკონის ელექტრონული ვერსია;
22. საქართველოს მთავრობის კანცელარია. მთარგმნელობითი მომსახურეობის გაწევა